მარცხენა გარემარბი იზოლაციაში

თბილისი. “ბურევესტნიკის” სტადიონი. 19 ივლისი.

“დინამო” (თბილისი) _ სკა (როსტოვი) 1:1 (0:1).

სკა: სკარლიგინი, გუშჩინი, ნოსოვი, აფონინი, ჩერტკოვი, შიკუნოვი, სტრეშნი, ანდრიენკო, პონედელნიკი, კოპაევი (ლევჩენკო), მოსალევი.

“დინამო”: კოტრიკაძე, ჩოხელი, თორაძე, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, იამანიძე, დათუნაშვილი, ბარქაია (მელაშვილი), კალოევი, გ. სიჭინავა, მესხი.

მსაჯი ა. კაზაკოვი (მოსკოვი).

გუშინდელი მატჩისათვის როსტოვის არმიელებს ისეთი მდგომარეობა შეექმნათ, რომ მათ უკანდასახევი გზა აღარა ჰქონდათ. ხარკოვის “ავანგარდთან” დამარცხების შემდეგ ისინი პირველი ხუთეულის ზღვარზე აღმოჩნდნენ, ხოლო ქულების შემდგომი დაკარგვის შემთხვევაში მათთვის იქმნებოდა ერთობ არასახარბიელო პერსპექტივა იმისა, რომ მაღალი ადგილებისათვის იბრძოლებდნენ არა ისინი, არამედ სხვა გუნდები, როსტოველები კი “ა” კლასში სამიოდე წლის ყოფნის მანძილზე შეეჩვივნენ ცხრილის ზემო ნაწილში მოხვედრას.

ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ არმიელები თბილისის მატჩში ჩააქსოვდნენ ყველაფერს, რაც კი მათი შესაძლებლობების ფარგლებში იყო და ეს ასეც მოხდა. სტუმრებმა ითამაშეს ისე, რომ მატჩის დამთავრების შემდეგ შეიძლებოდა თქმა: თითოეულმა მათგანმა მთელი თავისი ძალები მისცა ბრძოლას თუნდაც იმ ერთი ქულისათვის, რომელიც გუნდს ესოდენ სჭირდებოდა.

თბილისის დინამოელებზე კი ამას ვერ ვიტყვით. მთელი თამაშის განმავლობაში იგრძნობოდა, რომ ისინი სრული სიძლიერით არ იყვნენ ჩაბმული გამარჯვებისათვის ბრძოლაში, რომ გუნდს პოტენციაში კიდევ დარჩა ძალები და მოთამაშეებმა გასახდელში თან წაიყოლიეს გამოუყენებელი ენერგია და შეიძლება მონდომებაც კი. მაგალითისათვის შეიძლება თუნდაც ბარქაიას დასახელება. საქმე მხოლოდ იმაში არაა, რომ ჩვენი გუნდის ეს წამყვანი, ნიჭიერი ფორვარდი ტაქტიკურად არასწორად თამაშობს და როგორღაც ამოვარდნილია საერთო სამოქმედო გეგმიდან. ბარქაიამ სრულიად შეწყვიტა ბრძოლა ბურთისათვის იმ შემთხვევებში, როცა მცველი გამარჯვებული გამოდის მასთან პირისპირ შეტაკებისას, ეს კი ძვირად უჯდებათ უკანა ხაზის მოთამაშეებს, რომლებსაც ბარქაიას პასიურობის შედეგად სისტემატურად ჰყავთ წინ ზედმეტი თავისუფალი მოწინააღმდეგე.

ეს შენიშვნა მხოლოდ ბარქაიას არ ეკუთვნის, “დინამოს” სხვა ფორვარდებიც ერიდებიან ამგვარ “შავ სამუშაოს” და საშუალებას აძლევენ მოწინააღმდეგეს თავისი საჯარიმო მოედნიდან წამოიწყოს სწრაფი კონტრშეტევა.

დინამოელები საკმაოდ ფართე ფრონტით აწარმოებენ იერიშებს, მაგრამ მათი დიაპაზონი მაინც განისაზღვრება მარჯვენა გარემარბიდან მარცხენა შუამარბამდე. ბურთის გათამაშება, კომბინაციები, საერთო ურთიერთმოქმედება წარმოებს მარცხენა ფლანგის გარკვეულ ზონამდე, აქ კი ყველაფერი ეს წყდება და მესხი ფაქტიურად იზოლირებული რჩება თავისი პარტნიორებისაგან, მართალია, თვით მესხი არ შემოდის ცენტრში, იზღუდება ვიწრო ტერიტორიით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თავდასხმის სხვა მოთამაშეებმა ხაზი გაუსვან მის ამ ნაკლოვანებას და ნაკლად დაამჩნიონ იგი თამაშს. პირიქით, მესხის შესაძლებლობანი მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული, მისი ტალანტი იმდენად მრავალმხრივია, რომ გუნდისათვის ფასდაუდებელი სამსახურის გაწევა შეუძლია.

საერთო ტერიტორიული უპირატესობა უდავოდ დინამოელებს ჰქონდათ დასაწყისიდანვე, მაგრამ სტუმრები ეფექტურად ახორციელებდნენ კონტრიერიშებს და სწორედ ასე გაიტანეს კიდეც მათ გოლი მე-11 წუთზე (სტრეშნი). საპასუხო ბურთს “დინამომ” მიაღწია 54-ე წუთზე კალოევის მიერ უმაღლესი ოსტატობით შესრულებული თავური დარტყმის შედეგად. მიუხედავად მთელი რიგი სახიფათო მომენტებისა ორივე გუნდის კართან, ეს ანგარიში აღარ შეცვლილა _ 1:1.

აუცილებელი აღნიშვნის ღირსია პ. კაზაკოვის არაკვალიფიციური, შეცდომებით აღსავსე მსაჯობა.

ამავე გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრა მოიგეს როსტოველებმა_3:1.

ვ. ბერეჟნოი, სპორტის ოსტატი; ბ. ქორქია.
“ლელო”, 20 ივლისი, 1961 წ.